ხუთსტრიქონიანი ლექსი და მისი ვარიაცია „ბრილიანტი"

მოსწავლეები ავსებენ გრაფიკულ სქემას ხუთსტრიქონიანი ლექსის შესაქმნელად.



კლასი: II-VI

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, მცირე ჯგუფები.

რესურსი: ფურცელი, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს თემას/საკითხს, რომლის შესახებაც უნდა შექმნან ხუთსტრიქონიანი ლექსი.
- ხუთსტრიქონიანი ლექსის შესაქმნელად მოსწავლეებმა სიტყვებით უნდა შეავსონ ქვემოთ მოცემული გრაფიკული სქემა (მასწავლებელს სქემა დაფაზე/დიდფორმატიან ქაღალდზე აქვს დაწერილი).



სქემის პირველ ხაზზე იწერება საკვანძო თემის/საკითხის შესაბამისი სიტყვა (არსებითი სახელი).

მეორე ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს საკვანძო სიტყვას (ზედსართავი სახელი).

მესამე ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავს საკვანძო ქვემდებარის მოქმედებებს (ზმნა).

მეოთხე ხაზზე იწერება ოთხსიტყვიანი ფრაზა, რომელიც გამოხატავს მოსწავლის ასოციაციას/დამოკიდებულებას/შეხედულებას საკვანძო საკითხის მიმართ.

მეხუთე ხაზზე იწერება საკვანძო თემის/საკითხის დედააზრი ან პირველ ხაზზე დაწერილი სიტყვის სინონიმი (არსებითი სახელი).

მაგალითი



ხუთსტრიქონიანი ლექსის ვარიაცია - ,,ბრილიანტი''

აქტივობა ეფექტურად გამოიყენება საგანთა, მოვლენათა, პერსონაჟთა დეტალურად აღსაწერად, საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე ცნებების შესაპირისპირებლად, წაკითხულ ნაწარმოებზე რეაგირებისთვის და ა.შ.



სქემის პირველ ხაზზე იწერება საკვანძო თემის/საკითხის შესაბამისი სიტყვა.

ბოლო ხაზზე იწერება პირველ ხაზზე დაწერილი საკვანძო არსებითი სახელის შემცვლელი სიტყვა.

მეორე ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც აღწერს საკვანძო სიტყვას.

მესამე ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომლებიც გამოხატავს საკვანძო ქვემდებარის მოქმედებებს.

ანალოგიურად, **ქვემოდან მეორე ხაზზე** დაწერილი ზედსართავები აღწერს საკვანძო სიტყვის შემცვლელ ქვემდებარეს.

ქვემოდან **მესამე ხაზზე** დაწერილი სამი ზმნა კი გამოხატავს საკვანძო სიტყვის შემცვლელი ქვემდებარის მოქმედებებს.

ცენტრალურ, **მეოთხე სტრიქონზე** იწერება ოთხსიტყვიანი ფრაზა, რომელიც გამოხატავს მოსწავლის ასოციაციას/დამოკიდებულებას/შეხედულებას საკვანძო საკითხის მიმართ.

მაგალითები

ქუჩის ბავშვი

გაყინული, დაძონძილი

დაძრწის, ითხოვს, ართმევს,

მისი ოცნებები არავის ახსოვს.

მალავს, ეძებს, წვალობს,

გარიყული პატარა

მაწანწალა.